საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 11193/01
28/10/2021

11193-01-2-202110281110

**შპს „ტოპ მოტორსს“**

**მის:** თბილისი, როსტევანის ქ.№31

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 13 ოქტომბრის N18484 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქვეშეთის მიმდებარედ შპს „ტოპ მოტორსის“ ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამახარისხებელი (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება) საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი ინფორმაცია:

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია წყალჩაშვების ორი GPS კოორდინატი, რომლებიც ერთმანეთს არ ემთხვევა. კერძოდ, თავში 6 „ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის ელემენტები და ტექნოლოგიური პროცესი“ მითითებულია, რომ სალექარში გაწმენდილი წყლის ჩაშვება მოხდება მდ. თეთრ არაგვში, GPS კოორდინატზე X=464295 Y=4697294, ხოლო თავში 7 „ობიექტის წყალმომარაგება და წყალარინება“ აღნიშნულია, რომ წყალი ჩაედინება მდ. არაგვში, კოორდინატზე X-464275 Y-4697294. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს სალექარის განთავსების ადგილი და წყალჩაშვების წერტილის GPS კოორდინატი;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოში საკუთარი სატრანსპორტო საშუალებების გასამართად გათვალისწინებულია დიზელის ავტოგასამართი სადგურის მოწყობა. სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნას, ავტოგასამართი სადგურის ადგილმდებარეობის GPS კოორდინატი;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს მდ. თეთრი არაგვის კალაპოტში, მის მარჯვენა ჭალისპირა ტერასაზე. „წყალდაცვითი ზოლის შესახებ” საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N440 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის თანახმად, მდ. თეთრი არაგვის წყალდაცვითი ზოლის სიგანე შეადგენს 30 მეტრს კალაპოტის კიდიდან. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების მიხედვით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს უშუალოდ მდინარის კალაპოტში და ხვდება მის წყალდაცვით

ზოლში. **შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში დაცული და გათვალისწინებული უნდა იყოს „წყალდაცვითი ზოლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნები და მოცემული უნდა იყოს წყალდაცვითი ზოლის დაცვის შესახებ ინფორმაცია, მდინარემდე საპროექტო ტერიტორიის ან/და უშუალოდ დანადგარის განთავსების ადგილამდე მანძილების მითითებით;**

- მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ფიქსირდება გარკვეული ობიექტების არსებობა. გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იქნას არსებული მდგომარეობის შესაბამისად და მოიცავდეს ინფორმაციას საპროექტო ტერიტორიაზე უკვე არსებული ობიექტების შესახებ.

სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით იმსჯელებს ზემოაღნიშნული შენიშვნების შესაბამისად შესწორებული სრულყოფილი სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე